განმცხადებელი : საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თარიღი : 23-09-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : 1. ტელეკომპანია ,,იმედის" ჟურნალისტი/წამყვანი - ირაკლი ჩიხლაძე; 2. ტელეკომპანია ,,იმედის" ჟურნალისტი - ნათია თოიძე.

სადავო მასალა : ,,მდიდარი ენჯეოების კლანი" - იმედის კვირის სიუჟეტი - https://www.facebook.com/watch/?v=3205284253060376

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

,,არასამთავრობო სექტორი პოლიტიკური აქცენტებით. შემდეგი რეპორტაჟი კონკრეტული ენჯეოების საქმიანობას ეხება, იმ ორგანიზაციების, რომლებიც ძირითადად ხელისუფლების ოპონირებით და ოპოზიციის ერთი ნაწილის მხარდაჭერით არიან დაკავებული და ამაში ხარჯავენ დროს და ენერგიას, იმედისთვის კი უმრავლესობა ვერ იცლის, რომ კომენტარი მისცეს." - ამბობს წამყვანი ირაკლი ჩიხლაძე 2022 წლის 11 სექტემბერს ტელეკომპანია ,,იმედის" ეთერში გასული სადავო სიუჟეტის 00:01-00:20 დროის მონაკვეთში (იხ: https://www.facebook.com/imediskvira/videos/3205284253060376).

აღნიშნული სიტყვები ჟურნალისტური ქარტიის პირველ პრინციპს - ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, - არღვევს. ჟურნალისტის ტექსტის თანახმად, საია ,,ვერ იცლის'' ტელეკომპანია იმედთან თანამშრომლობისთვის, რაც გახლავთ ცრუ ინფორმაცია. ჟურნალისტმა არც კი სცადა, პატივისცემა გამოეჩინა საზოგადოების მიმართ და გადაემოწმებინა საია-ს დამოკიდებულება ნებისმიერ ტელეკომპანიასთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საია-ს თავმჯდომარეს არაერთხელ აქვს მიცემული ინტერვიუ ტელეკომპანია იმედის ჟურნალისტებისთვის.

ქარტიის პრაქტიკის თანახმად, მინიმუმ ორი დამოუკიდებელი წყარო უნდა ადასტურებდეს ინფორმაციას, რომ ის მტკიცებით ფორმაში გადაიცეს. გადამოწმების შემადგენელი ნაწილია ბალანსი, ბრალდების ობიექტის საპასუხო კომენტარის მოპოვება, ყველა რელევანტურ წყაროსთან ინფორმაციის დაზუსტება. აუდიტორიას უფლება აქვს, იცოდეს ყველა შესაძლო წყაროსა და მხარის პოზიცია ინფორმაციის შესახებ, რათა თავად შეძლოს ამ ინფორმაციის სანდოობის ან/და ნამდვილობის შეფასება. ამ შემთხვევაში წამყვანმა მტკიცებით ფორმაში გადმოსცა, რომ თითქოს საია არ თანამშრომლობის ,,იმედთან", აღნიშნულ ბრალდების ობიექტი გახლავთ საია, თუმცა, სიუჟეტში არ ჩანს მცდელობაც კი, ბრალდების ობიექტის საწინააღმდეგო მოსაზრების გაჟღერებისა. გაუგებარია, წამყვანმა ამ სიტყვების წარმოთქმას საფუძვლად რომელი მტკიცებულება, ფაქტი, წყარო დაუდო, აშკარაა, რომ არც-ერთი. საქმეში – თეა თოფურია მირიან ბოქოლიშვილის წინააღმდეგ (2011 წელი) – საბჭომ კვლავ იმსჯელა იმაზე, თუ რას გულისხმობს ეთიკური ვალდებულება, „ჟურნალისტმა პატივი სცეს სიმართლეს" ინფორმაციის გადამოწმების ჭრილში. „პატივი სცეს სიმართლეს" ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა მოიმოქმედოს, რაც კი შედის მის შესაძლებლობაში, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია. მან შეიძლება ვერც კი შეძლოს საზოგადოებისთვის სიმართლის თქმა, მაგრამ „პატივისცემა" მიუთითებს მის ძალისხმევაზე."

სახეზეა პროვოკაციული და მანიპულაციური ბრალდება, რისი მიზანიც მაყურებლის აგრესიისა და უარყოფითი რეაქციის გამოხატვაა. წამყვანმა აღნიშნული შესავლით მაყურებელს განზრახ, მანიპულაციურად შეუქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საია არის ჩაკეტილი ორგანიზაცია, რომელიც არ თანამშრომლობს კონკრეტულ მედია-საშუალებასთან. ამ განწყობას ამძაფრებს ჟურნალისტის შემდგომი ფრაზები ,,არასამთავრობო სექტორი პოლიტიკური აქცენტებით," ,,იმ

ორგანიზაციების, რომლებიც ..... ოპოზიციის ერთი ნაწილის მხარდაჭერით არიან დაკავებული.“ ამ უკანასკნელის თქმის საფუძვლად კი არცერთი ფაქტი არ მიუთითებია. მაყურებელს აწვდის მზა არასწორ მოსაზრებას, როგორც ფაქტს, ამის თქმის წინაპირობად კი არაფერს ასახელებს, რადგან რეალური წინაპირობა წარმოთქმული სიტყვების სათქმელად არ არსებობდა და არც არსებობს. საია არასდროს ყოფილა რომელიმე ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერით დაკავებული და მისი საქმიანობა მიმართულია, როგორც ადამიანის უფლებების დაცვისკენ, ასევე, ქვეყანაში დემოკრატიის განმტკიცებისკენ. საია-ს რესურსი არასდროს დახარჯულა და არც ამჟამად იხარჯება რომელიმე ოპოზიციური პარტიის პოლიტიკური ინტერესების დაცვაში. საია-სთვის პარტიული ინტერესების მიწერა და რომელიმე ოპოზიციურ პარტიასთან აფილირება იმედის მიერ ბევრჯერ ნაცადი ქმედებაა, რომელიც პერიოდულად მეორდება, რათა საზოგადოებაში მოხდეს ორგანიზაციის ,,გაშავება“ და ხალხში არასამთავრობო სექტორის მიმართ უნდობლობის დანერგვა.

პრობლემურია სიუჟეტის სათაურიც - ,,მდიდარი ენჯეოების კლანი.“ სათაური ცალკე ჟურნალისტური პროდუქტია, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მაყურებლის განწყობაზე. საბჭომ გადაწყვეტილებაში - საქმე ანა გაბელაია მართა ლაბაძისა და Reportiori.ge-ს, kvira.ge-ს, digest.pia.ge-ს არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტების წინააღმდეგ (2018 წელი) - განმარტა: ,,მკითხველს აქვს მოლოდინი და ნდობა, რომ სტატიის სათაური არის თავად სტატიაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად მიღებული და დადასტურებული დასკვნა და შეიძლება არც ჩათვალოს საჭიროდ სტატიის სრულად გაცნობა იმ დაშვებით, რომ სტატიის ძირითადი მიგნება მან უკვე წაიკითხა სათაურში.'' აღნიშნული შეგვიძლია გავავრცელოთ სიუჟეტზე, როგორც ჟურნალისტურ პროდუქტზე, რომელიც შესავლის, ვიზუალიზაციის, ჟურნალისტური შეფასებების, ფაქტების გადმოცემისა და სათაურის ერთობლიობაა. აღნიშნული სათაური არის პროვოკაციული და მანიპულაციური, მტკიცებით ფორმაში გადმოცემული, როგორც ფაქტი, რაც მკითხველს უჩენს შთაბეჭდილებას, რომ საია მართლაც ,,მდიდარია'' და ამავე დროს, რაიმე ,,კლანის“ წევრია. მკითხველი სათაურის წაკითხვისთანავე მტრულად ხდება განწყობილი სიუჟეტის ობიექტისადმი, რაც სიუჟეტის კონტექსტის გათვალისწინებით აყალიბებს მცდარ წარმოდგენას საია-ზე. აღნიშნული სათაურის მტკიცებით ფორმაში გადმოცემა არღვევს ქარტიის პირველ პრინციპს, ვინაიდან გადაუმოწმებელი და უსაფუძვლოა სათაურში ასახული ინფორმაცია, ამასთან არ არის მოცემული სიუჟეტში აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე მოსაზრება არც-ერთი რესპოდენტისგან და თავად ჟურნალისტები არც კი ცდილობენ, დაასაბუთონ, რატომ და რის საფუძველზეა საია ,,მდიდარი'' და ,,კლანური'' არასამთავრობო ორგანიზაცია.

საია არის ღია ყველა მედიასაშუალებისთვის და შესაძლებლობის ფარგლებში მუდმივ მზადყოფნაშია ყველა ტელეკომპანიასთან კომუნიკაციისთვის, რაც თავად აღნიშნულ სადავო სიუჟეტში ნათლად ჩანს, კერძოდ სადავო სიუჟეტის 04:50 წუთიდან თავად ჟურნალისტი ამბობს, რომ საია იმედის კითხვებს პასუხობს. ამ სიტყვებს მოსდევს საია-ს თავმჯდომარის სატელეფონო ინტერვიუ. ამრიგად, წამყვანის სიტყვები წინააღმდეგობაში მოდის სიუჟეტშივე ასახულ ინტერვიუსთან. აღნიშნული ინტერვიუ სულ მცირე მაგალითია სხვა მრავალს შორის, რომელიც მოწმობს საია-ს ღიაობას ტელეკომპანია ,,იმედის'' ჟურნალისტების მიმართ.

რომ შევაჯამოთ, წამყვანმა, ირაკლი ჩიხლაძემ, დაარღვია ჟურნალისტური ქარტიის პირველი პრინციპი. შესაბამისად, ვითხოვთ ამ პრინციპის დარღვევის დადგენას.

სადავო სიუჟეტს აგრძელებს ჟურნალისტი ნათია თოიძე.

ნათია თოიძემ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის 1-ლი და მე-11 პრინციპი, კერძოდ,

პრინციპი 1: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

პრინციპი 11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება;

სადავო სიუჟეტის 04:21 წუთიდან გვესმის: ,,საია-სთვისაც, რომელსაც დაწყებული აქვს 2 246 600 აშშ დოლარის საერთო ღირებულების რამდენიმე პროექტი. 2014-2021 წლებში გრანტის სახით მიღებული აქვს 6 282 017 აშშ დოლარი. არ ჩანს კონკრეტულად, რაშია დახარჯული დეტალურად თანხები." ამ ნაწილში პრობლემურია ის საკითხი, რომ საია-ს ვებ-გვერდზე ატვირთულია წლიური ანგარიშები, ჟურნალისტს შეეძლო ენახა, რაში იხარჯებოდა კონკრეტულ წელს საია-ს მიერ თანხები, თუმცა, ამის ნაცვლად, მიუთითა, რომ არ ჩანს, რაში იხარჯება თანხები, რაც განზრახ ფაქტის დამახინჯებაზე მიუთითებს.

ჟურნალისტი ნათია თოიძე სადავო სიუჟეტის 05:15 წუთიდან ამბობს, რომ 8.5 მილიონი დოლარის გრანტი მიიღო საიამ 2014-2021 წლებში. ამავე სიუჟეტის 04:30 წუთზე იგივე ჟურნალისტი ნათია თოიძე ამბობს, რომ საია-მ 2014-2021 წლებში გრანტების სახით მიიღო 6 282 017 აშშ დოლარი. აშკარაა, რომ აღნიშნული ფრაზები ურთიერთწინააღმდეგობრივია და ეწინააღმდეგება სიზუსტისა და ფაქტების განზრახ დამახინჯების აკრძალვის პრინციპებს. ჟურნალისტმა ნათია თოიძემ უგულებელჰყო მაყურებლის / საზოგადოების უფლება, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია და არ გამოიჩინა საკმარისი ძალისხმევა ზუსტი, ურთიერთთანმხვედრი და თანმიმდევრული ინფორმაციის მაყურებლისთვის მიწოდებისთვის. ერთსა და იმავე ფაქტზე განსხვავებული ინფორმაციის მიწოდებით შეცდომაში შეჰყავს მაყურებელი.

საქმეში დიმიტრი ქუმსიშვილი ელისო კილაძის წინააღმდეგ (2018 წელი) საბჭომ განმარტა შემდეგი: „ეთიკური ჟურნალისტიკის ერთ–ერთი მთავარი პრინციპია პატივისცემა აუდიტორიის უფლებისათვის, რომ მიიღოს სწორი და გადამოწმებული ინფორმაცია.." ,, ჟურნალისტს შეიძლება არ ჰქონდეს ოფიციალური ინფორმაცია და დაეყრდნოს კონფიდენციალურ წყაროს, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, რომ ყველა ღონე იხმაროს ინფორმაციის ღია წყაროებთან გადასამოწმებლად. ხოლო თუ ვერ ხერხდება ინფორმაციის გადამოწმება, ამის შესახებ ცალსახად უნდა აცნობოს აუდიტორიას." ჟურნალისტს ჰქონდა შესაძლებლობა, საია-ს ვებ-გვერდზე მოეპოვებინა სწორი და ზუსტი ინფორმაცია 2014-2021 წლებში საია-ს მიერ მოპოვებული გრანტის ოდენობის თაობაზე, თუმცა სიუჟეტიდან და ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სხვადასხვა წუთს ჟურნალისტი გრანტის სხვადასხვა ოდენობაზე მიუთითებს და ამით შეცდომაში შეჰყავს მაყურებელი. ადგილი აქვს უზუსტობას და ასევე, ფაქტის განზრახ დამახინჯებას. ზოგადად, საბჭოს მიერ ფაქტები განზრახ დამახინჯებულად ჩაითვალა, როცა დადგინდა, რომ: ჟურნალისტმა ზუსტად იცოდა, რა იყო სწორი ინფორმაცია და, მიუხედავად ამისა, მაინც არაზუსტი ინფორმაცია გაავრცელა; ობიექტური გარემოებები იძლევიან იმის ვარაუდს, რომ ჟურნალისტმა იცოდა სწორი ინფორმაცია, კერძოდ სიუჟეტშივე ცხადად ჩანს, რომ ჟურნალისტმა ნათია თოიძემ ზუსტად იცოდა, სად მოეძია ინფორმაცია საია-ს მიერ მოპოვებული გრანტის ოდენობის თაობაზე და აშკარაა, რომ გაეცნო კიდეც აღნიშნულს, თუმცა მაინც არაზუსტი ინფორმაცია გაავრცელა, კერძოდ სიუჟეტის ერთ მომენტში დაასახელა 6 282 017 მლნ აშშ დოლარი, მეორეში კი 8.5 მლნ აშშ დოლარი.

ჟურნალისტი სადავო სიუჟეტის 06:10 წუთიდან ამბობს: ერთი კი ცხადია, პოლიტიკაში არაფორმალურ მოთამაშეებად ჩაერთვნენ და ოპოზიციურ ფლანგზე პროცესების მართვასაც ცდილობენ, ითხოვენ მთავრობის გადადგომას, ტექნიკური მთავრობის დაკომპლექტებას, გამოდიან აქციებზე და აჟღერებენ პოლიტიკურ მოთხოვნებს.

აღნიშნულ შემთხვევაშიც ორივე პრინციპი ირღვევა. საბჭოს მიერ ფაქტები განზრახ დამახინჯებულად ჩაითვალა, როცა დადგინდა, რომ:

1. ჟურნალისტმა ზუსტად იცოდა, რა იყო სწორი ინფორმაცია და, მიუხედავად ამისა, მაინც არაზუსტი ინფორმაცია გაავრცელა;

2. ობიექტური გარემოებები იძლეოდნენ დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ჟურნალისტმა იცოდა ნამდვილი ფაქტი და მაინც არაზუსტად გაავრცელა;

3. მედიასაშუალებების მიერ ამ თემაზე არასწორი ინფორმაციების გავრცელება ატარებს კამპანიურ და განგრძობად ხასიათს.

საია-ს არცერთ ინტერვიუში, აქციაზე თუ ბრიფინგზე არ გაუჟღერებია ტექნიკური მთავრობის დაკომპლექტების იდეა, მოთხოვნა თუ მოწოდება. საია წმინდა საზოგადოებრივი ინტერესებით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციაა. იმედის ჟურნალისტი მანიპულაციურად და პროვოკაციულად აჟღერებს ზემოთ ნახსენებ ბრალდებებს, რაც მაყურებელს უქმნის არასწორ შთაბეჭდილებას. ამასთანავე, სრულიად უსაფუძვლოდ და არასწორად კეთდება მითითება, თითქოს საია ოპოზიციურ ფლანგზე პროცესების მართვას ცდილობს.

ქარტიის პრაქტიკაში არის რამდენიმე გადაწყვეტილება, როდესაც პირველი პრინციპის დარღვევა დადგინდა ინფორმაციის მაყურებლისათვის მანიპულაციურად მიწოდებით, კონტექსტის გათვალისწინებით, ანონსის და სხვა გარემოებების ერთობლიობის საფუძველზე. საბჭო გადაწყვეტილებაში საქმეზე - ტარიელ ქათამაძე სესილი ბოკერიას, ნატო გოგელიას და TV პირველის არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტის წინააღმდეგ განმარტავს, რომ მე-11 პრინციპს საბჭო მაშინ მიიჩნევს დარღვეულად, თუ დადასტურებულია ასეთი განზრახვის მოტივი, ან კამპანიურად ვრცელდება არასწორი ინფორმაცია. ტელეკომპანია იმედის მხრიდან საია-ზე მანიპულაციური სიუჟეტებით თავდასხმა რომ კამპანიურ ხასიათს ატარებს, ეს არახალია. მაგალითისთვის ავიღოთ შემდეგი ჟურნალისტური მასალები:

2021 წლის 20 სექტემბერს, ტელეკომპანია ,,იმედის“ ეთერში, 14:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი „საიას სარჩელი“ მოპასუხე: წამყვანი - ლევან კვატაშიძე, სიუჟეტის ავტორი - ნათია სონღულაშვილი.

2021 წლის 20 სექტემბერს, ტელეკომპანია ,,იმედის“ ეთერში, 17:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი „საიას სარჩელი“, მოპასუხე: წამყვანი - ნინო თოლორდავა, სიუჟეტის ავტორი - ნათია სონღულაშვილი.

2021 წლის 20 სექტემბერს, ტელეკომპანია ,,იმედის“ ეთერში, 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი „ნაცნობი შინაარსის სარჩელი, ნაცნობ დროს, განსხვავებული ავტორით“, მოპასუხეები: წამყვანები - ლევან ჯავახიშვილი და ხატია ქვათაძე, ჟურნალისტი - ნათია სონღულაშვილი.

აღნიშნულ სადავო სიუჟეტებთან დაკავშირებით საბჭომ საიას საჩივარი დააკმაყოფილა. (იხ: https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/90964-gadatsyvetileba-saqmeze-saqarthvelos-akhalgazrda-iuristtha-asociacia-nathia-songhulashvilis-levan-kvatashidzis-levan-javakhishvilis-khatia-qvathadzis-da-nino-tholordavas-tsinaaghmdeg გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ნათია სონღულაშვილის, ლევან კვატაშიძის, ლევან ჯავახიშვილის, ხატია ქვათაძის და ნინო თოლორდავას წინააღმდეგ).

2019 წლის 02 მაისს ტელეკომპანია იმედის მიერ ასევე მომზადდა სიუჟეტი - „საიას შუალედურმა ანგარიშმა ორგანიზაციის სამართალმცოდნეების კვალიფიკაცია ეჭქვეშ დააყენა“, სადაც ასევე გაკრიტიკებულია საია და გარკვეულწილად მათი ქმედების შეფასება ხდება მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებზე მანიპულაციით.

ტელეკომპანია ,,იმედის'' მიერ საია-ს შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების კამპანიურ ხასიათს მოწმობს სამაუწყებლო კომპანია „იმედის“ ეთერში, 2019 წლის 14 მარტის 20:00 საათიან „ქრონიკაში“ გასული სიუჟეტი - ,,აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში - დოკუმენტში საქართველოს 47 გვერდი ეთმობა,“ რომელთან დაკავშირებულ საჩივარზე საბჭომ დაადგინა ქარტიის 1, 3, 5 და 11 პრინციპების დარღვევა (იხ: https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/73985-gadatsyvetileba-saqmeze-saia-nathia-songhulashvilis-tsinaaghmdeg) .

ამასთან, აღსანიშნავია თავად ტელეკომპანია იმედთან ჩაწერილი ინტერვიუ (https://we.tl/t-5TuqOX8noz), რომელიც სადავო სიუჟეტის ჩაწერამდე, 12 ივლისს, იყო ჩაწერილი და რომლიდანაც კარგად ჩანს, რომ საია-ს არ ჰქონდა დაყენებული ის მოთხოვნები, რომლის დაყენებასაც სადავო სიუჟეტში აბრალებენ. სიუჟეტში საია-ს თავმჯდომარე 01:00 წუთიდან ამბობს, რომ ტექნიკური მთავრობა შესაძლებელია ყოფილიყო ერთ-ერთი გზა, რომელიც ევროკავშირის მიერ გამოცემული რეკომენდაციების შესრულებას მოემსახურებოდა, თუმცა საია არ უჭერს მხარს ტექნიკური მთავრობით პოლიტიკური კრიზისის დაძლევას, არამედ ცდილობს მოიძიოს სხვა გზები. სწორედ ამ მიზნით მიმართა საია-მ სხვა არასამთავრო ორგანიზაციებთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარეს სამუშაო ჯგუფის დანიშვნასთან დაკავშირებით. ამავე სიუჟეტში 1:57 წუთიდან ჟურნალისტი ამბობს: ,,დეპუტატების თქმით კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ დესტრუქციას გაემიჯნონ, რაც მათი შეფასებით სწორი გადაწყვეტილებაა.“ აღნიშნული სხვა ორგანიზაციებთან ერთად ეხება საია-საც.

ჟურნალისტი ნათია თოიძის მიერ წარმოთქმული ზემოთ აღნიშნული სიტყვები რომ ფაქტის განზრახ დამახინჯება და არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებაა, ამას მოწმობს სხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული შემდეგი მასალებიც:

1. https://netgazeti.ge/life/626019/?fbclid=IwAR2tW-hq8DxhCsl6GJVWYi-RewP9aIg0D8vMxS68QW859aegmKO5d3OzZqo ;

2. https://publika.ge/ocnebam-samushao-jgufis-shekhvedraze-isfed-ar-miiwvia-saiam-protestis-nishnad-skhdoma- datova/?fbclid=IwAR29zZGX5IoXV_PEDSi3266vHPijrDIMEwSc_99ZA5_1fJCjUQBxrA09L4I .

netgazeti.ge-ს და პუბლიკა-ს სტატიებში აღნიშნულია, რომ “ქართულმა ოცნებამ” საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის საკითხზე სამუშაო ჯგუფში “სამართლიანი არჩევნები”(ISFED) არ მიიწვია, საია - კი. საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის საკითხზე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის და ფრაქცია „ქართული ოცნების” თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გივი მიქანაძის განცხადებით, ISFED ნეიტრალური ორგანიზაცია არაა, რადგან ივნისში გამართულ აქციებზე მისი წარმომადგენლები მთავრობის გადადგომას ითხოვდნენ. ,,არასამთავრობო ორგანიზაციები ამ პროცესში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაერთონ, თუკი ისინი ინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს. “სამართლიანმა არჩევნებმა” ეს ნეიტრალიტეტი დაკარგა, როცა პარლამენტის წინ მიმდინარე შეკრების დროს ისინი შეუერთდნენ მთავრობისა და პრემიერის გადაყენების და ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბების მოთხოვნას. შესაბამისად, მათ ნეიტრალიტეტზე საუბარი შეუძლებელია და სწორედ ამ მიზეზის გამო არ მოხდა მათი მოწვევა სამუშაო ჯგუფში”, – განაცხადა მიქანაძემ. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ როტაციული პრინციპით სხვადასხვა შეხვედრებზე სხვადასხვა ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენი სამუშაო ჯგუფის კარი კი ღიაა ნებისმიერი ნეიტრალური არასამთავრობო ორგანიზაციისთვის და მივიჩნევთ, რომ მათი მონაწილეობა ძალიან ღირებულია ამ პროცესისთვისაც“, – განაცხადა მიქანაძემ. მიქანაძის განცხადებიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნულ სამუშაო ჯგუფში საია-ს მოწვევა მოწმობს საია-ს ნეიტრალურობასა და აპოლიტიკურობაზე. ამავე განცხადებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ საია არ ითხოვს და არც არასდროს ითხოვდა ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბებას, მთავრობის გადადგობას თუ სხვა.

ტექნიკური მთავრობის მოთხოვნის შესახებ ჟურნალისტის მიერ საია-ს ბრალდების შემდეგ სადავო სიუჟეტის 06:57 წუთიდან ნაჩვენებია ამონარიდი აქციაზე საია-ს თავმჯდომარის გამოსვლისა, სადაც საია-ს თავმჯდომარე ამბობს შემდეგ სიტყვებს: ,,ვითხოვთ იმას, რომ ძალაუფლება განაწილდეს და ერთ ხელში არ იყოს მოქცეული. ვითხოვთ იმას, რომ გვქონდეს სამართლიანი საარჩევნო სისტემა და ჩვენ შეგვეძლოს სამართლიან არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ხმის მიცემა და საბოლოო ჯამში ჩვენი არჩევანი სამართლიანად აისახოს შედეგებზე.'' აღნიშნული გამოსვლის არც-ერთ სიტყვაში არ გაჟღერებულა მოთხოვნა ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბებაზე, რასაც ჟურნალისტი ნათია

თოიძე სადავო სიუჟეტის 06:10 წუთიდან აჟღერებს. აღნიშნულიც ადასტურებს ჟურნალისტის მიერ 1-ლი და მე-11 პრინციპების დარღვევას.

ჟურნალისტის ეთიკური ვალდებულებაა, „პატივი სცეს სიმართლეს," რაც ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა მოიმოქმედოს, რაც კი შედის მის შესაძლებლობაში, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია. მან შეიძლება ვერც კი შეძლოს საზოგადოებისთვის სიმართლის თქმა, მაგრამ „პატივისცემა" მიუთითებს მის ძალისხმევაზე." ჟურნალისტმა ნათია თოიძემ დაარღვია აღნიშნული ეთიკური ვალდებულება. მან, აშკარაა, იცოდა სიმართლე, რომ საია-ს არასდროს და არსად მოუთხოვია ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბება, თუმცა მაყურებელს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, ობიექტური გარემოებები იძლევა დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ჟურნალისტმა იცის ნამდვილი ფაქტი და მაინც არაზუსტად გაავრცელა, გარდა ამისა მედიასაშუალება ,,იმედის'' მიერ საია-ზე არასწორი ინფორმაციების გავრცელება ატარებს კამპანიურ ხასიათს.

აქედან გამომდინარე დაირღვა ჟურნალისტური ქარტიის 1-ლი და მე-11 პრინციპი.

სადავო სიუჟეტის 07:19 წუთიდან ვისმენთ: ,,წერენ ანგარიშებს, რასაც შემდეგ მათივე დონორები საკუთარ ანგარიშებში ციტირებენ და საზოგადოება ისმენს გამოგონილ ისტორიებს, როგორ მიიტაცა ბიძინა ივანიშვილმა საქართველო და როგორი მისაბაძი იყო რევოლუციის გზით ხელისუფლებაში მოსული ნაციონალური მოძრაობა გასაოცარი დემოკრატიითა და რეფორმებით." აღნიშნულ განცხადებას მოსდევს ირაკლი კობახიძის სიტყვები, რომელიც იმავე ბრალდებებს აჟღერებს საიასადმი, რასაც ჟურნალისტი ნათია თოიძე მთელი სიუჟეტის განმავლობაში.

სადავო სიუჟეტის 08:02 წუთიდან ვისმენთ: ,,წაშლილია ზღვარი და სულ უფრო რთული ხდება, გაარჩიო, სად მთავრდება ნაციონალური მოძრაობა და სად იწყება მრავალმილიონიანი დაფინანსებით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში."

გაურკვეველია, ნათია თოიძე რის საფუძველზე მიუთითებს, რომ საია წერს ანგარიშებს, თითქოს როგორი მისაბაძი იყო რევოლუციის გზით ხელისუფლებაში მოსული ნაციონალური მოძრაობა გასაოცარი დემოკრატიითა და რეფორმებით. არცერთ მსგავს ანგარიშზე მითითებას იმედის სიუჟეტში ვერ ნახავთ, რადგან მსგავსი ანგარიში საია-ს არ დაუწერია. ასევე, გაუგებარი და მანიპულაციურია ჟურნალისტის განცხადება, თითქოს წაშლილია ზღვარი ნაციონალურ მოძრაობასა და სიუჟეტში ნახსენებ არასამათავრობო ორგანიზაციებს შორის.

აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა , რომ ,,კიდევ ერთი წინაპირობა მე-11 პრინციპის დარღვევის დასადგენად არის გარემოება, როცა ერთი და იმავე მედიის მიერ, ერთი და იმავე სუბიექტის/სუბიექტების მიმართ არაერთგზის, კამპანიურად, ვრცელდება არასწორი ან/და გადაუმოწმებელი ინფორმაცია. 2019 წლის 29 მაისის საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია [საია] ნათია სონღულაშვილის წინააღმდეგ" საბჭომ დაადგინა, რომ ტელეკომპანია იმედის ჟურნალისტმა, ნათია სონღულაშვილმა, საიას შესახებ გაავრცელა არასწორი ინფორმაცია და ეს განზრახ გააკეთა. ამავე გადაწყვეტილებაში საბჭომ მიუთითა, რომ: „ქარტიის საბჭოს დაკვირვებით, მოძიებული სიუჟეტებით აშკარაა "იმედის" მიერ ხელისუფლების მხარდამჭერი სარედაქციო პოლიტიკის გატარება. ტელეკომპანია "იმედი" არაერთხელაა მხილებული ხელისუფლებისადმი ლოიალური საინფორმაციო კამპანიით, "იმედის" მთავარი საინფორმაციო გამოშვებები ხშირად არის ხელისუფლების მიერ ორგანიზებული, დაგეგმილი ნარატივის გამტარებელი. აშკარაა, რომ ის უმეტესწილად უზრუნველყოფს ხელისუფლების მიერ "ამოჩემებული" პერსონების თუ ორგანიზაციების "გაშავებას", რასაც ადასტურებს მედიამონიტორინგები". ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭო მიიჩნევს, რომ წინამდებარე სიუჟეტებიც ამ ხაზის გაგრძელებაა და არასწორი ინფორმაციის გავრცელება განზრახ მოხდა,'' განმარტა საბჭომ გადაწყვეტილებაში საქმეზე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ნათია სონღულაშვილის, ლევან კვატაშიძის, ლევან ჯავახიშვილის, ხატია ქვათაძის და

ნინო თოლორდავას წინააღმდეგ. სწორედ იმავე, კარგად ნაცნობ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამჟამდაც.

სიუჟეტში ჟურნალისტი ნათია თოიძის მიერ გაჟღერებული ფრაზები და ბრალდებები ზუსტად ემთხვევა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების ნარატივს. მაგალითად: აღნიშნულ სტატიაში https://tabula.ge/ge/news/691265-kobakhidze-qvelaze-mdidari-ngo-ebis-kharjebi ვკითხულობთ ირაკლი კობახიძის სიტყვებს: ,,არის რამდენიმე ყველაზე მდიდარი NGO, რომლებიც ფინანსდებიან სხვადასხვა წყაროდან და, რა თქმა უნდა, როდესაც ისინი გამოდიან პოლიტიკური მოთხოვნებით და აჩვენებენ პოლიტიკურ ამბიციას, მითუმეტეს მათ აქვთ მორალური ვალდებულება, რომ საზოგადოების წინაშე აჩვენონ გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი. თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა მათი ხარჯები და ამასთან დაკავშირებით საზოგადოებას არავითარი ინფორმაცია არ აქვს.'' კობახიძის მტკიცებით, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან პირდაპირ არიან დაკავშირებული "რადიკალური ოპოზიციის" წარმომადგენლები.

ავიღოთ მეორე მაგალითიც, კერძოდ იხ. შემდეგი სტატია: https://www.interpressnews.ge/ka/article/725835-mamuka-mdinaraze-puli-romlitac-arasamtavrobo-organizaciebi-pinansdebian-teknikuri-mtavrobis-kampaniis-dasagegmad-miemarteba-sazogadoebam-unda-icodes-saidan-pinansdebian-enjeoebi , რომელშიც გადმოცემულია მამუკა მდინარაძის შემდეგი ბრალდებები: ,,შეგვიძლია ფაქტებზე დაყრდნობით დავასკვნათ, რომ ის ფული, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაციები ფინანსდებიან, სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხელისუფლების წინააღმდეგ, ტექნიკური მთავრობის მოთხოვნის კამპანიის დასაგეგმად მიემართება..''

ამ ფაქტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე აშკარა და ცხადი ხდება მე-11 პრინციპის დარღვევა ზემოთ აღნიშნულ ასპექტშიც, კერძოდ ერთი და იმავე მედიის მიერ (ამ შემთხვევაში, ტელეკომპანია იმედის მიერ), ერთი და იმავე სუბიექტის / სუბიექტების მიმართ (ამ შემთხვევაში საია-ს მიმართ) არაერთგზის, კამპანიურად, არასწორი ან/და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება, ხელისუფლების ნარატივის გაჟღერება. ეჭვგარეშეა, ტელეკომპანია იმედი, ხელისუფლების წარმომადგლებთან ერთად, ერთხმად და კამპანიურად უტევს საია-ს, აჟღერებს აბსურდულ, გადაუმოწმებელ, უსაფუძვლო ინფორმაციას საზოგადოებაში უნდობლობის გამოწვევის განზრახვით.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 2021 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე N - 456 - კავკასიის უნივერსიტეტი ეთუნა ინწკირველის და მირანდა ბაღათურიას წინააღმდეგ, საბჭომ აღნიშნა, რომ პირველი პრინციპის დარღვევის დასადასტურებლად აუცილებელი არ არის, საბჭომ ზუსტად დაადგინოს, გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს; საბჭო ჟურნალისტურ პროდუქტს აანალიზებს აუდიტორიის პოზიციიდან და ცდილობს გამოიკვლიოს, რამდენად სცა ჟურნალისტმა პატივი საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. სწორედ იმ ძალისხმევას აფასებს, რაც ჟურნალისტმა გასწია ინფორმაციის გადასამოწმებლად. რესპონდენტის მიერ ინფორმაციის მიწოდება არ ათავისუფლებს ჟურნალისტს მისი გადამოწმების მოვალეობისაგან, ვინაიდან გადამოწმების გარეშე აუდიტორია მხოლოდ ცალმხრივ და დაუბალანსებელ ინფორმაციას იღებს. განსახილველ შემთხვევაში ცალსახაა, ჟურნალისტმა არ გამოიჩინა ძალისხმევა, რომ ორივე მხარის პოზიციის შემცველი, გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა მაყურებლისათვის.

ჩვენს შემთხვევაში სადავო სიუჟეტში ნათია თოიძის მიერ 1-ლი პრინციპის დარღვევის კიდევ ერთი მომენტი ფიქსირდება იმ ასპექტში, რომ ჟურნალისტმა პატივი არ სცა მაყურებლის ინტერესსა და უფლებას, მიიღოს სწორი და ამომწურავი ინფორმაცია, მოისმინოს მეორე მხარის პოზიცია. იგულისხმება ჟურნალისტის ზარი საია-ს თავმჯდომარესთან, რომელიც ასახულია სადავო სიუჟეტის 04:57 წუთიდან და რომელიც განხორციელდა 19 სექტემბერს, შაბათ დღეს, 16:06 წუთზე. სატელეფონო საუბარმა გასტანა 10 წუთსა და 54 წამს, თუმცა სატელეფონო ჩანაწერის ნახევარიც კი არ არის ასახული სიუჟეტში, მეტიც, მხოლოდ 1 წუთის განმავლობაში დაფიქსირებული საუბრის ამონარიდია გამოტანილი. აქ საგულისხმოა არა იმდენად დრო, არამედ ის, რომ საუბარია გადაცემა

,,იმედის კვირაზე,'' გადაცემის დამუშავება ხდება მთელი კვირის განმავლობაში, თუმცა, რატომღაც, გადაცემამდე ერთი დღით ადრე, არასამუშაო დღეს, მოხდა სატელეფონო ინტერვიუს ჩაწერა საია-ს თავმჯდომარე ნიკოლოზ სიმონიშვილთან, რასაც აქვს განზრახული მანიპულაციური მიზანი, რომ საზოგადოებამ ვერ მოისმინოს მეორე მხარის დასაბუთებული პოზიცია. ჟურნალისტ ნათია თოიძეს შეეძლო არა შაბათს, არამედ მთელი კვირის განმავლობაში დაკავშირებოდა საია-ს თავმჯდომარეს, შეეთანხმებინა ინტერვიუს დრო და მიეღო მეტი დეტალი და ინფორმაცია რესპოდენტისგან, თუმცა, მან ამჯობინა გადაცემამდე ერთი დღით ადრე, სასწრაფო წესით დაერეკა თავმჯდომარისთვის. ამასთან, სადავო სიუჟეტის ზემოთ აღნიშნულ წუთებშიც ისმის ნიკა სიმონიშვილის მხრიდან შეთავაზება ინტერვიუზე დეტალური ინფორმაციის ჟურნალისტ ნათია თოიძესთვის მიწოდების მიზნით, ვინაიდან ჟურნალისტის კითხვა მოითხოვდა საფუძვლიან გადამოწმებას და შეუძლებელი იყო, თავმჯდომარეს, რომელიც 2021 წელს იქნა არჩეული, ზეპირად სცოდნოდა 2014-2021 წლებში მიღებული გრანტის ოდენობა და გამოყენების დეტალები. ამ ყველაფრის ურთიერთშეჯერების საფუძველზე აშკარა ხდება ჟურნალისტის განზრახვა, არ მოასმენინოს მაყურებელს მეორე მხარის პოზიცია, რაც არღვევს მე-11 პრინციპს.

მთელს სიუჟეტში დაშვებული ეთიკური გადაცდომები არ არის უნებლიე და ემსახურება კონკრეტული, დამახინჯებული გზავნილების აუდიტორიამდე მიტანას. შესაბამისად, საია ითხოვს, რომ დადგინდეს ჟურნალისტის, ნათია თოიძის, მიერ 1-ლი და მე-11 პრინციპის დარღვევა.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები